ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13232963**
თარიღი:**23/10/2023**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე'' ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კანონის 108-ე მუხლის და 121-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2"-ზე გადაცემის მიზნით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ახალციხის მუნიციპალიტეტის, ქალაქ ვალეში, სტალინის ქუჩა N18 - ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდით N62.15.54.031;

საფუძველი - სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს 2023 წლის 02 ოქტომბრის № 5/53237 და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 28 სექტემბრის NMES 0 23 0001255944 მომართვები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი